ხელშეკრულება №03-10 / 364
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 25 ნოემბერი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. #46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, სს"გუდვილი" (მის. ქ. ბათუმი, გენ. ას. აბაშიძის ქ. №18) (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის ირაკლი ხალვაშის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით ნატურალური წვენების (CPV კოდი 15320000 – ხილისა და ბოსტნეულის წვენები), მინერალური წყლების (CPV კოდი 15981000 – მინერალური წყლები), სხვადასხვა საკვები პროდუქტის (CPV კოდი 15800000 სხვადასხვა საკვები პროდუქტი) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 151,45 (ას ორმოცდათერთმეტი ლარი და 0,45) ლარს, მათ შორის:

CPV კოდი 15320000 – ხილისა და ბოსტნეულის წვენები –18,95 ლარი;
CPV კოდი 15981000 – მინერალური წყლები – 23,55 ლარი
CPV კოდი 15800000 სხვადასხვა საკვები პროდუქტი –108,95 ლარი;

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.
5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ჯუმბერ აბაშიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის საფასურის შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს.
8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"	ს"გუდვილი"
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა	მის. ქ. ბათუმი, გენ. ას. აბაშიძის ქ. №18
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი LBRTGE22	ს.ს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE88LB0121162303587000	ა/ა GE60BG 0000000 704 007 300
ს/კ 445399391	ს/კ 206343991
დირექტორი	გენერალური დირექტორის მინდობილი პირი
გოჩა ბერიძე	ირაკლი ხალვაში

დანართი № 1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	CPV კოდი 15320000 – ხილისა და ბოსტნეულის წვენები	SANDORA- ნატურალური წვენი მულტივიტამინებით 1ლ	ცალი	5	3,79	18,95
2	CPV კოდი 15981000 – მინერალური წყლები	ბორჯომის წყალი 0,33ლ (შუშა)	ცალი	15	0,70	10,50
3		ნაბეღლავი 0,5 ლ (შუშა)	ცალი	15	0,87	13,05
4	CPV კოდი 15800000 სხვადასხვა საკვები პროდუქტი	GREENFIELD – შავი ჩაი ,,გოლდენ ცეილონ" 2გრX25ც	შეკვრა	1	4,05	4,05
5		GREENFIELD - შავი ჩაი ,,სანრაიზ" 2გრX25ც	შეკვრა	1	4,05	4,05
6		CARTE NOIRE – ერთჯერადი ხსნადიყავა 2 გრ	ცალი	10	0,40	4,00
7		CARTE NOIRE - ხსნადი ყავან 100გრ	ცალი	1	19,55	19,55
8		,,გუდვილი"– ყავა 150გრ	ცალი	1	3,10	3,10
9		ღვეზელი ,,გურული"	ცალი	7	3,10	21,70
10		ღვეზელი ,,სკარანო"–ფენოვანი	ცალი	7	1,80	12,60
11		ჩიზქეიქი კენკრით ნაჭრებად	ცალი	7	2,20	15,40
12		ტორტი ,,საბა–იონე" „18"–ნაჭრებად	ცალი	7	3,50	24,50
		ჯამი	ლარი			**151,45**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"

დირექტორი

გოჩა ბერიძე

სს"გუდვილი"

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ირაკლი ხალვაში